ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

# ბრძანება №112462

ნომერი: AR137174

თარიღი : 04.04.2012

გაცემის თარიღი : 10.04.2012

გაცნობის თარიღი : 11.04.2012

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ლესელიძე , N 15 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- სპარტაკ მელიქიშვილი პ/ნ 01006006674
- თბილისი დიღმის მას. II კვ. კორ. 13 ბ. 62

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება

ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2011 წლის 04 ივლისის №963 სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში დამატების შეტანის თაობაზე

ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის მიერ 2011 წლის 04 ივლისს ქ. თბილისში, ძველი თბილისის რაიონში, ლესელიძის ქ. #15–ში (ნაკვეთი #038/019–ზე სს ,,ხიდმშენის" კუთვნილ მიწის ნაკვეთზე არსებული შენობა–ნაგებობის რეკონსტრუქციის მიზნით დამტკიცდა №963 სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობები.

2012 წლის 04 აპრილს ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურს №AR137174 განცხადებით მომართა მოქ. სპარტაკ მელიქიშვილმა და მოითხოვა სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების №963 პირობებში დამატების შეტანა, კერძოდ საპროექტო ობიექტზე ახალი ფუნქციის – კაფე–ბარის დამატება.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის თანახმად სამსახურმა შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ თბილისის არქიტექტურის სამსახურის მიერ 2011 წლის 04 ივლისს დამტკიცდა №963 სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობები სს ,,ხიდმშენის" კუთვნილ მიწის ნაკვეთზე არსებული შენობა–ნაგებობის (ავტოფარეხი) რეკონსტრუქციის მიზნით საზოგადოებრივ–საქმიან ზონა 2 (სსზ–2) და საცხოვრებელი ზონა 3 (სზ–3)–ის პარამეტრებით და პირობებით. 2011 წლის 25 აგვისტოს #01/2519 ბრძანებით შეთანხმდა აღნიშნული ობიექტის რეკონსტრუქციის არქიტექტურული პროექტი და გაიცა შესაბამისი მშენებლობის ნებართვა (სანებართვო მოწმობა #ნ/2648-1).

დღევანდელი მდგომარეობით მიწის ნაკვეთზე უკვე ვრცელდება მხოლოდ საზოგადოებრივ–საქმიანი ზონა 2 (სსზ–2), ხოლო მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ განვითარების სხვა პირობები და მოთხოვნები რჩება უცვლელი. ამასთან, რადგან სარეკონსტრუქციო ობიექტი მშენებარეა და აღნიშნულ ცვლილებას ითხოვს იგივე განმცხადებელი, ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია შევიდეს შესაბამისი დამატება #963 მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში.

„მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების თანახმად სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში უნდა აისახოს კანონმდებლობით, მათ შორის ამ დადგენილებით განსაზღვრული ის სავალდებულო მოთხოვნები, რომლებიც აუცილებელია მშენებლობის განხორციელების დოკუმენტების პროექტების შემუშავებისათვის. ამდენად, სამსახურს ქალაქთმშენებლობითი თვალსაზრისით მიზანშეწონილად მიაჩნია განმცხადებლის მოთხოვნის დაკმაყოფილება №963 სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში საპროექტო ობიექტის ფუნქციის დამატებასთან დაკავშირებით.

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57-ე დადგენილების და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად

## ვბრძანებ

1. დაკმაყოფილდეს მოქ. სპარტაკ მელიქიშვილის 2012 წლის 04 აპრილის #AR137174 განცხადება;
2. შევიდეს დამატება თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2011 წლის 04 ივლისის №963 სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში, კერძოდ: საპროექტო ობიექტს დაემატოს ახალი ფუნქცია – კაფე–ბარი.
3. აღნიშნული ბრძანება განხილულ იქნას თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2011 წლის 04 ივლისის №963 სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებთან ერთად;

---

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.